საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5170
03/07/2023

5170-21-2-202307031644

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს"

მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N71, სართული 4, საოფისე ფართი N22, ბლოკი N2

ელ. ფოსტა: info@bsg.com.ge

info@ecometer.org.ge

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი N5751 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ასფალტის წარმოების, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების, ნავთობპროდუქტების საცავისა და სამშენებლო ნარჩენების აღდგენის საწარმოო ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ: დოკუმენტში მითითებულია, რომ შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი" გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. სააკაძის ტერიტორიაზე **გეგმავს საწარმოო ობიექტის მოწყობას**, რომელიც მოიცავს ასფალტის წარმოების, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების, ნავთობპროდუქტების საცავის და ნარჩენების აღდგენის საწარმოო ხაზებს შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ასევე, სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კომპანიამ **მოაწყო** ასფალტის წარმოების, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების, ნავთობპროდუქტების საცავის და ნარჩენების აღდგენის საწარმოო ხაზები შესაბამისი ინფრასტრუქტურით;
- დასაბუთებას საჭიროებს სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის საფუძველი, კერძოდ: დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კომპანიას მოწყობილი აქვს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და ბეტონის საწარმოები, რომლებიც ფუნქციონირებენ შეთანხმებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშების შესაბამისად. დოკუმენტში ასევე, აღნიშნულია, რომ

საწარმოში დაგეგმილია ემულსიისა და ბიტუმის წარმოების ხაზის მოწყობა. სკოპინგის ანგარიშში განხილული უნდა იქნეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობები. ასევე გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის, მე-2 ნაწილის მიხედვით: „2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული, ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობები, რომლებიც არ მოიცავს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობებს, არ საჭიროებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. აღნიშნულ საქმიანობებზე ვრცელდება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები“. გარდა ამისა, დოკუმენტაციის სათანადოდ შეფასების მიზნით, სკოპინგის ანგარიშში ცალკე ქვეთავებად უნდა იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია არსებული და მოსაწყობი ობიექტების შესახებ, სადაც მითითებული იქნება არსებული ობიექტების მოწყობის თარიღები;

- წარმოდგენილი Shp ფაილების ელექტრონული გადამოწმებით, დადგინდა, რომ „სარეცხი წყლის“ რეზერვუარი მოწყობილია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია სახელმწიფო ტყეზე ზემოქმედების შესახებ. გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის, მე-3 ნაწილის მიხედვით „თუ საქმიანობა ტყის ტერიტორიაზე ხორციელდება და ტყის სტატუსის შეწყვეტას ან განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვებას საჭიროებს, **საქმიანობის განმახორციელებელმა სკოპინგის ანგარიშს უნდა დაურთოს ინფორმაცია ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ**”.
- სკოპინგის ანგარიშში მითითბულია, რომ საწარმოო ობიექტის განთავსებისთვის შერჩეული მიწის ნაკვეთები (ს/კ 81.10.29.755; ს/კ 81.10.22.661 და ს/კ 81.10.22.662) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია მიწის ნაკვეთების დანიშნულების ცვლილების შესახებ. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს მიწის ნაკვეთების ფართობებისა და საწარმოო ხაზების განთავსების ტერიტორიების ფართობები;
- სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ „საწარმოო ობიექტზე დაგეგმილია მეორადი სამშენებლო, ინერტული (მათ შორის ასფალტის ანაფრეზი მასალის) ნარჩენების მსხვრევის დანადგარის მოწყობა, სადაც მოხდება აღნიშნული ნარჩენის გადამუშავება და მისგან ახალი პროდუქციის მიღება (ნარჩენების აღდგენა)“. წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ტექნოლოგიურ ხაზში გამოსაყენებელი ნარჩენების სახეობებისა და კოდების (მათ შორის აღდგენის ოპერაციების კოდების) შესახებ.

სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო